ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის **3 ივლისის** სხდომის

ოქმი # 6

სხდომა ჩატარდა „ზუმ“ პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 23.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 – 2023 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარში ცვლილების დამტკიცება

მომხს: რ. ჯორბენაძე

2. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში

მომხს: რ. ჯორბენაძე

3. სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთა ცვლილების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

4. „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის შესახებ

მომხს: რ. ჯორბენაძე

5. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სემესტრის დოქტორანტ როინ ზუმბულიძის შესახებ

მომხს: თ. მატარაძე

6. „სოციალური მუშაობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სემესტრის დოქტორანტ მარიამ ჭანკოტაძის შესახებ

მომხს: თ. მატარაძე

7. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტება

მომხს: თ. მატარაძე

8. ცვლილება სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა - პროსპექტუსში

მომხს: თ. მატარაძე

9. „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მმართველი კომისიის დამტკიცება

მომხს: თ. დოლბაია

10. ასოცირებულ პროფესორ ლია წულაძის სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების შესახებ
მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის 2022 – 2023 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარში ცვლილების შეტანის აუცილებლობაზე ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ, რომელმაც თქვა, რომ ჩვენი ფაკულტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა და აკრედიტაცია გაიარა სამაგისტრო პროგრამამ - „ციფრული მედია და ინოვაციები "(დადგენილება № 476575, 2022, დანართი 304) და აუცილებელია ამ პროგრამის დამატება მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარში

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ.ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 – 2023 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარში, დაემატოს სამაგისტრო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები" და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ
აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ, დოლბაიამ, ნ. დურგლიშვილმა, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს : შევიდეს ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ, დამსწრეთ გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, ფ. ასანიშვილის განცხადება, სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთა ცვლილების შესახებ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ, გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.
დაადგინეს: „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე, ხოლო „დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად - ფიქრია ასანიშვილი

მოისმინეს: 4. რ. ჯორბენაძემ დამსწრეთ გააცნო სააკრედიტაციოდ წარსადგენი „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ და სხვ.

დაადგინეს: თსუ-ის ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურს გაეგზავნოს „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა, შემდგომი შესწავლისა და თსუ-ის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების მიზნით.

მოისმინეს: 5. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სემესტრის დოქტორანტ როინ ზუმბულიძის შესახებ ისაუბრა დეკანის მოადგილე თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ, თ. დოლბაიამ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სემესტრის დოქტორანტ როინ ზუმბულიძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, ხოლო სადისერტაციო თემის სათაურად დამტკიცდეს: „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი დიდი და პატარა ქვეყნების მიმართების ჭრილში“

მოისმინეს: 6. „სოციალური მუშაობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სემესტრის დოქტორანტ მარიამ ჭანკოტაძის შესახებ ისაუბრა დეკანის მოადგილე თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, ზ. აბაშიძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: „სოციალური მუშაობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სემესტრის დოქტორანტ მარიამ ჭანკოტაძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დაემატოს ასოცირებული პროფესორი ნინო შატბერაშვილი (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე), ხოლო მისი სადისერტაციო თემის სათაურად დამტკიცდეს: „დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ცხოვრების ხარისხი და სოციალური მუშაობის როლი მათთან მუშაობის დროს“.

მოისმინეს: 7. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტების თაობაზე, დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელების (თ. დოლბაია, გ. გოგსაძე) განცხადება დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას სადისერტაციო თემის სათაური - „შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის და განსახლების თავისებურებები საქართველოში“,

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შრომით მიგრანტთა, საქართველოში ინტეგრაციის და განსახლების თავისებურებები“.
მოისმინეს: 8. თ. მატარაძემ, დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, გააკეთა ანგარიში სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი პროექტების Turnitin-ის პლატფორმაზე შემოწმების შედეგების შესახებ, სადაც გამოვლინდა პირველი და მეორე სამეცნიერო კვლევითი პროექტების თანხვედრა დოქტორანთა მიერ სამაგისტრო საფეხურზე შესრულებულ ნაშრომებთან. მან თქვა, რომ დამთხვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება არ იყოს მაღალი, თუმცა დამთხვევა ფიქსირდება ნაშრომის სათაურთან, კვლევის მიზანთან, ამოცანებთან, კვლევის ჰიპოთეზასთან და გამოყენებულ ან დაგეგმილ კვლევის მეთოდებთან, ზოგჯერ კი თეორიულ ჩარჩოსთანაც. გამომდინარე იქედან, რომ დოქტორანტს შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში უკვე მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ხოლო სადოქტორო ნაშრომი გულისხმობს
ორიგინალურ და ინოვაციური კვლევის საფუძველზე ნაშრომის მომზადებას, სამაგისტრო ნაშრომში არსებული ანალოგიური მიდგომების გამოყენება იგივე პირის
მიერ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კვლევით სიახლეებს.თ. მატარაძემ გამოთქვა მოსაზრება, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი გააგრძელებს სამაგისტრო ნაშრომის თემას, მისი კვლევის დიზაინი იყოს განსხვავებული.
აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, ა. კუხიანიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.
დაადგინეს: შევიდეს ცვლილება სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა/პროსპექტუსში (ოქმს თან ერთვის), დაემატოს შენიშვნის პუნქტი და ჩამოყალიბდეს ასე:
„შენიშვნა: თუ სადოქტორო კვლევის თემატიკა ემთხვევა აპლიკანტის სამაგისტრო
ნაშრომს, მკაფიოდ წარმოაჩინეთ საკვლევი თემის ორიგინალურობა და სიახლე.
სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენა.“

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ შეახსენა, რომ აკრედიტაცია გაიარა „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ერთობლივმა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელიც განხორციელდება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების თანამშრომლობით. პროგრამის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესებს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პროგრამის მმართველი კომისიის შექმნა, რომელიც იქნება ორივე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, ორგანიზებას გაუწევს პროგრამის განხორციელებას, მიიღებს გადაწყვეტილებებს პროგრამის განხორციელებისას და იმუშავებს პროგრამის აკრედიტაციის სრულ პერიოდში. თ. დოლბაიამ სხდომას წარუდგინა კომისიის შემადგენლობა
აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ნ. ჭალაგანიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შეიქმნას მმართველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
1). თამარ დოლბაია - თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
2). ნინო ქიმერიძე - თსუ აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
3). რევაზ ჯორბენაძე - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4). მანანა შამილიშვილი - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
5). ნინო ჭალაგანიძე - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6). ნათია კუპრაშვილი - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
1). მარინე გიორგაძე - ბსუ ,ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2). ვლადიმერ ღლონტი - ბსუ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
3). ინგა შამილიშვილი - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4). ივდით დიასამიძე - ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოცირებული პროფესორი;
5). ნათია ქათამაძე - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი, ასოცირებული პროფესორი;
6). მზია ხახუტაიშვილი - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი, ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: 10. ასოცირებულ პროფესორ ლია წულაძის სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების შესახებ ,ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თ. დოლბაიამ. მან თქვა, რომ ა.წ. 1 ივნისს (#303/30-00) წერილი გაუგზავნა ლ. წულაძეს და შეახსენა, რომ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის #422/02-02, 12/08/2021 ბრძანებით, ლ. წულაძეს მიეცა ანაზღაურებადი სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულება 2021 წლის 20 სექტემბრიდან 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით, „მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოსაქვეყნებელ სტატიაზე და წიგნებზე - ,,კულტურის სოციოლოგია“ და ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ -

სამუშაოდ“; მიუთითა, რომ გამოცემის საკითხები თავად ლ. წულაძეს უნდა მოევვარებინა, ხოლო სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდგომ, უნდა წარმოედგინა შექმნილი პროდუქცია და ფაკულტეტის საბჭოსთვის გამოეგზავნა ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დეკანის წერილი ბლანკზე დასვა, ნომერი მიანიჭა, ბეჭედი დაუსვა მთავარმა სპეციალისტმა მ. მიქაძემ და გაუგზავნა ლ.წულაძეს.

21 ივნისს მ. მიქაძე იღებს გზავნილს ლ. წულაძისგან, კერძოდ:

Miranda Miqadze Jun 21, 2022, 10:41 AM

to me

---------- Forwarded message ---------
From: **Lia Tsuladze** <lia.tsuladze@tsu.ge>
Date: Mon, Jun 20, 2022 at 7:14 PM
Subject: Re: წერილი
To: Miranda Miqadze <miranda.mikadze@tsu.ge>, Teona Mataradze <teona.mataradze@tsu.ge>, Iago Kachkachishvili <Iagok@yahoo.com>

მირანდა, მოგესალმებით.

გიგზავნით ჩემს დარჩენილ სამეცნიერო პროდუქტებს და აქვე კომენტარს გავაკეთებ რაოდენობრივი მეთოდების სახელმძღვანელოზე: არ მსმენია ისეთი უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც საკუთარ პროფესორს უნივერსიტეტისთვის საჭირო სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის დაკაბადონებაში თანხას სთხოვს. თვისებრივი კვლევის მეთოდების სახელმძღვანელო თუ თსუ-მ დააკაბადონა თავისი ხარჯებით, რაოდენობრივი მეთოდების სახელმძღვანელოს რატომ არ აკაბადონებს? ეს სახელმძღვანელო მე სულ არ მჭირდება, არამედ ისევ ჩვენმა სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ, თან მთელი ფაკულტეტის და არა უშუალოდ სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა! გარდა ამისა, თუ ჩემი ჯიბიდან ვიხდი წიგნის დაბეჭდვის თანხას, რატომ უნდა გადავუხადო ორმაგი თანხა თსუ-ის გამომცემლობას, როცა გამომცემლობა „ნეკერი" ბევრად იაფად ბეჭდავს სახელმძღვანელოს (ცხადია, თსუ-ს სახელით) და ამისი გამოცდილება თვისებრივი მეთოდების სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით უკვე მაქვს.

რაც შეეხება თავად სამეცნიერო პროდუქტებს, ბმულის სახით იხილეთ:

1. კულტურის სოციოლოგიის სახელმძღვანელო;

2. სამეცნიერო სტატია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ჟურნალ Caucasus Survey-ის სპეციალურ ნომერში Georgia's Strategic Path. ამ ჟურნალისთვის სტატიის მომზადება თავად სპეციალური ნომრის რედაქტორებმა - ჰელგე ბლაკისრუდმა (ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი) და ნინო ქემოკლიძემ (ჩიჩესტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანათი) - მთხოვეს და ეს აკადემიური შვებულების მოთხოვნისას უკვე ვიცოდი. ამ ჟურნალის იმპაქტი 0.7-ია და Google-ში რომ შეიყვანოთ მისი სახელწოდება, პირდაპირ აგდებს ამ ინფორმაციას. მიკვირს, საიდან გაჩნდა დეკანის წერილში სიტყვა „მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე", როცა მე სიტყვა „მაღალი" ჩემს აკადემიური შვებულების განცხადებაში საერთოდ არ მქონია. სტატია 2021 წლის შემოდგომის დასაწყისში გავგზავნე და რედაქტორებს წინასწარ ვკითხე, როდისთვის გეგმავდნენ სპეციალური ნომრის გამოქვეყნებას. მათ მიპასუხეს, რომ 2022 წლის ზაფხულისთვის გეგმავდნენ ნომრის გამოქვეყნებას, თუმცა 2021 წლის დეკემბერში ჟურნალი Routledge-დან Brill-ში პორტირდა და პროცესს 3 თვე დასჭირდა, რამაც რეცენზირების პროცესი შეაფერხა და სტატია ამჟამადაც რეცენზირებას გადის, თუმცა ჟურნალმა მიპასუხა, რომ 1-2 თვეში რეცენზირების პროცესი დასრულდება. ამასობაში, რედაქტორებისგან მივიღე მეილი, რომ სტატია სათანადო ხარისხს შეესაბამება და გამოქვეყნებას იმსახურებს, რომელსაც აქვე ვაკოპირებ და თუ სხვა სახის დასტური იქნება საჭირო, ნომრის რედაქტორები მზად არიან, ნებისმიერი ფორმით დაადასტურონ.
დიდი მადლობა, ლიკა".

ლ. წულაძე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეს იყო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და მხოლოდ 12 ივლისს წარადგინა ფაკულტეტის კანცელარიაში საშვებულებო ანგარიში და ამ თარიღის მითითებით, ფაკულტეტის დეკანმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაუდასტურა ლ. წულაძის ანგარიშის მიღების ფაქტი.

უპრიანი იქნებოდა, საბჭოს წევრები რამდენიმე დღით ადრე გაცნობოდნენ ლ. წულაძის ანგარიშს, შექმნილ პროდუქციას, მაგრამ დრო არ ითმენდა და ლ. წულაძეს, ხელფასთან დაკავშირებით დამატებითი პრობლემები რომ არ შექმნოდა, 13 ივლისს ჩანიშნულ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს, წარმოდგენილი ანგარიში მიეღოთ ცნობად, ხოლო განხილვა - შეფასების საკითხი, შემდეგი სხდომისთვისგადაედოთ.

ლ. წულაძემ, განცხადებაში, რომლითაც სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება მოითხოვა, ვალდებულებად აიღო, სტატიის „საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნება", რაზეც თ. დოლბაიამ დამსწრეთ ამცნო, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მოკვლევით, სამეცნიერო ჟურნალი "Caucasus Survey" (https://brill.com/view/journals/casu/casu-overview.xml) ინდექსირებულია Web of Science-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში (https://mjl.clarivate.com/search-results), თუმცა, მას არ აქვს იმპაქტ ფაქტორი (Impact Factor).

ასევე, ფაკულტეტის დეკანმა გამოთქვა სურვილი ლ. წულაძის ერთ - ერთი წიგნის, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. მიღებულ იქნას ცნობად ლ. წულაძის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო შემოქმედებითი ანგარიში და დაგზავნილ იქნას შესაფასებლად ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან;
2. ეთხოვოს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, მისცეს წერილობითი განმარტება ფაკულტეტის საბჭოს, სამეცნიერო ჟურნალ "Caucasus Survey" - ს იმპაქტ ფაქტორთან დაკავშირებით;
3. გაეგზავნოს შეკითხვა თსუ-ის იურიდიულ დეპარტამენტს, თუ რამდენად სამართლებრივია ლ. წულაძის მიერ შვებულების ფარგლებში შესასრულებელი სახელმძღვანელოების ელექტრონული გამოცემებისთვის საჭირო თანხების, მის მიერვე გადახდა;
4. ლ. წულაძისთვის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების დროს შესრულებული სამუშაოს ჩათვლა - არჩათვლის საკითხი განხილულ იქნას უახლოეს სხდომაზე, თსუ-ის ადმინისტრაციიდან მიღებული პასუხებისა და კოლეგების შეფასების შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. ფილიბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ს. დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. თამარ დოლბაია

2. თეონა მატარაძე

3. სალომე დუნდუა

4. რევაზ ჯორბენაძე

5. გიორგი გოგსაძე

6. ამირან ბერძენიშვილი

7. იაგო კაჭკაჭშვილი

8. ნინო პავლიაშვილი

9. მარი წერეთელი

10. ნანული ტალახაძე

11. მალხაზ მაცაბერიძე

12. ზურაბ აბაშიძე

13. ზურაბ დავითაშვილი

14. ფიქრია ასანიშვილი

15. ცირა თოფურია

16. ალექსანდრე გაბაშვილი

17. მანანა შამილიშვილი

18. ნინი პაქსაშვილი

19. ალექსანდრე კუხიანიძე

20. კახი კუჭუხიძე

21. ხათუნა მაისაშვილი

22. ნინო ჭალაგანიძე

23. შოთა ქარქაშაძე

დანართი #1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179, ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07
ელფოსტა	chancellery@tsu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	რექტორი: გიორგი შარვაშიძე, ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ირმა გრძელიძე, ტელ: 577 13 15 53, ელ-ფოსტა: irma.grdzelidze@tsu.ge
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დეტალური წინაპირობები იხ.: www.tsu.ge

								სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი			**სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები**					**უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება**			**იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი**	**თითოეულ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა**	**მიმართულებათ აშორისი დარგების შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ერთზე მეტი ტესტის ტიპის არჩევის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისათვის**		
სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	**სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამულიმიმართულება /მიმართულებები**	**მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება**	**აკრედიტებულია თუ არა**	**დაფინანსება**	**სწავლების ენა**	**წლიური გადასახადი**	**სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა**	**A ტიპის ტესტი**	**B ტიპის ტესტი**	**C ტიპის ტესტი**	**სულ**	**წაკითხულის გაგება**	**ანალიტიკური წერა**	**ლოგიკური მსჯელობა**	**რაოდენობრივი მსჯელობა**	**სულ**	**გამოცდა/გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში**	**გამოცდა უცხო ენაში**				**A ტიპის ტესტი**	**B ტიპის ტესტი**	**C ტიპის ტესტი**
გენდერის კვლევა	სოციალური მეცნიერებები	გენდერის კვლევის	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობ	ინგლისური ენა B2- 30	გამოცდა სპეციალობ	**10**			
სოციოლოგია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**20**									100	გამოცდა სპეციალობაში - 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება		გამოცდა სპეციალობაში,	**20**			
სოციალური მუშაობა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მუშაობის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში (ესსე) - 40 (მინიმალური ზღვარი 51%)		გამოცდა სპეციალობაში	**15**			

მედიის კვლევები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მედიის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**25**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%)	ინგლისური ენა B 2, 20.	გამოცდა სპეციალობაში გასაუბრება სპეციალობაში და	**25**			
ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი	აკრედიტირებული	ფინანსდება	ინგლისურენოვანი ქართული კომპონენტებით	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 40, (მინიმალური ზღვარი 51%),	ინგლისური ენა B2 - 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა	**15**			
პოლიტიკის მეცნიერება	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**25**									100	გამოცდა სპეციალობაში 80 (მინიმალური ზღვარი 51%) და		გამოცდა სპეციალობაში	**25**			
სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	საჯარო მმართველობის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**25**									100	გამოცდა სპეციალობაში 30 (მინიმალური ზღვარი 51%)	ინგლისური ენა B2 - 50	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის	**25**			
მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მეცნიერების მაგისტრი მედიის კვლევებში	აკრედიტებულია	ფინანსდება	ინგლისური	3200 (საქართველოს მოქალაქეები), ხოლო	**15**									100	გამოცდა(ესსე ინგლისურენაზე) - 40. (მინიმალური ზღვარი	ინგლისური ენა B2. 40	გამოცდა(ესსე ინგლისურენაში) ინგლისური ენის	**15**			
დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**20**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება	ინგლისური ენა B2 - 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა	**20**			
სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**20**									100	გამოცდა სპეციალობაში 80 (მინიმალურიო ზღვარი		გამოცდა სპეციალობაში.	**20**			
ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%), გამოცდა ინგლისურენაში 50	ინგლისური ენა B2 - 50	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა	**10**			

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება		გამოცდა სპეციალობაში გასაუბრება სპეციალობაშ	**15**			
კონფლიქტების ანალიზი და მართვა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	კონფლიქტოლოგიის მაგისტრი	ავტორიზირებული		ქართული	2250	**20**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში - 20 გასაუბრება უცხო ენაში (ინგლისური ენა B2) -		გამოცდა სპეციალობაში გასაუბრება სპეციალობაში	**20**			
ციფრული მედია და ინოვაციები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	ჟურნალისტიკის მაგისტრი	აკრედიტირებული		ქართული	2250	**40 (ოსუ - 20, ბსუ - 20**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%), გამოცდა ინგლისურ ენაში 40	ინგლისური ენა B2, 40	გამოცდა სპეციალობაში და გამოცდა ინგლისურ ენაში	**ბსუ 20,ბსუ - 20)**			

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ საბჭოს 2022 წლის 25 ივლისის სხდომაზე შუამდგომლობს და განსახილველად წარმოგიდგენთ ცვლილებებს **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებში (ფაკულტეტის 2022 წლის 13 ივლისის სხდომაზე, ოქმი N6).

<u>საბაკალავრო პროგრამები:</u>

1. ***საფაკულტეტო:***

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამებში (დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 35,) არჩევითი სასწავლო კურსების დამატების შესახებ.
ცვლილების აღწერა: დაემატოს საფაკულტეტო საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამებს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსით **„მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია“** (30/15 - გაზაფხულის სემესტრი) - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ჯაბა უროტაძე.
ცვლილება: სასწავლო კურსში ლექტორის დამატების შესახებ;
ცვლილების აღწერა: დაემატოს საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსში **„გამოყენებითი ეკონომიკა“** მოწვეული ლექტორი ზურაბ გამთენაძე.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა“*** *(დადგენილება № 22276, 2021; დანართი 34):*

ცვლილება: სასწავლო კურსის ამოღება და დამატება:
ცვლილების აღწერა: - არჩევითი საგნის ამოღება - „მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია“ (30/15-გაზაფხულის სემესტრი, გადავიდა საფაკულტეტო არჩევითში) - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ჯაბა უროტაძე. **- არჩევითი საგნის დამატება** - „ჟურნალისტიკის შემოქმედებითი მეთოდები“ (5 კრედიტი, 15/30) - მოწვეული პედაგოგი ელდარ იბერი.
ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილების შესახებ:
ცვლილების აღწერა: - „ტელე და კინოდოკუმენტალისტიკა“ (5 კრედიტი, 15/15) - მოწვეული პედაგოგი ქეთევან პატარაია, ნაცვლად გაზაფხულის სემესტრისა, გადმოინაცვლებს შემოდგომის სემესტრში.
საფუძველი: საგანმანატლებლო პროგრამის განვითარება.

3. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (რუსულენოვანი კომპონენტებით)“*** *(დადგენილება № 185, 2018, დანართი 35):*

ცვლილება: ლექტორთა ცვლილება.
ცვლილების აღწერა: „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ - ელზა ლომიძის ნაცვლად წაიკითხავს ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე; კურსი იკითხება შემოდგომის სემესტრში. **„ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში“**- ელზა ლომიძის ნაცვლად წაიკითხავს ასოცირებული

პროფესორი ხათუნა კაჭარავა; კურსი იკითხება გაზაფხულის სემესტრში. **„ეთიკა და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები“** - ელზა ლომიძის ნაცვლად წაიკითხავენ ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი და მოწვეული პედაგოგი, აკადემიური დოქტორი ჯილდა ასათიანი; კურსი იკითხება შემოდგომის სემესტრში. **„საინფორმაციო სააგენტოები - ინფორმაციის წარმოება და საინფორმაციო მომსახურება“** - ელზა ლომიძის ნაცვლად წაიკითხავს აკადემიური დოქტორი, მოწვეული პედაგოგი ნინო წითლანაძე კურსი იკითხება შემოდგომის სემესტრში. **„ანალიზი და თვალსაზრისი ჟურნალისტურ შემოქმედებაში“** - ელზა ლომიძის ნაცვლად წაიკითხავენ ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი და მოწვეული პედაგოგი მიხაილ ვიგნანსკი. კურსი იკითხება გაზაფხულის სემესტრში.

ცვლილება: სასწავლო კურსის ამოღება პროგრამიდან:

ცვლილების აღწერა: „თვითმენეჯმენტი პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში“

ცვლილება: სასწავლო კურსების დასახელებების ცვლილება;

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსებს **Культура речи -1 და Культура речи -2** შეეცვალოთ დასახელებები და დაერქვათ **Техника речи 1 და Техника речи 2.**

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

4. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: “მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია”*** *(დადგენილება № 32348, 2021, დანართი 40):*

ცვლილება: სასწავლო კურსისთვის სემესტრის ცვლილების შესახებ;

ცვლილების აღწერა: „მიგრაციის კვლევები“ (ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი) (ლექტორი - კორვინუსის უნივერსიტეტის პროფსორი ატილა მელეგი) საგაზაფხულო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება საშემოდგომო სემესტრში;

ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება:

ცვლილების აღწერა: ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი „მთის მდგრადი განვითარება“ (15/30 - შემოდგომის სემესტრი) - ლექტორები პროფესორი იოსებ სალუქვაძე (თსუ) და პროფესორი ნორმან ბაქჰაუსი (ციურიხის უნივერსიტეტი); მოწვეული ლექტორები: გვანცა სალუქვაძე; ანინა მიშელი; თემურ გუგუშვილი.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

5. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები“*** *(დადგენილება № 45163, 2021, დანართი 41):*

ცვლილება: ლექტორის ცვლილება და დამატება:

ცვლილების აღწერა: „საერთაშორისო ეკონომიკა“, **„საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა“** და **„ეკონომიკის პრინციპები“** ნაცვლად ლევან ნატროშვილისა, წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ემირ ეთერია; **„რუსეთის საგარეო პოლიტიკა“** ნაცვლად ქეთევან ჭუმბაძისა, წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გიორგი ბილანიშვილი; **„რეგიონალიზმი“** ნაცვლად მარიამ პაპოშვილისა, წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ანა ჩიტალაძე; **„დარგობრივი ინგლისური ენა 1“** და **„დარგობრივი ინგლისური ენა 3“** ნაცვლად ნინო ტაბეშაძისა, წაიკითხავენ მოწვეული ლექტორები თამთა ლომთაძე, სალომე ხვედელიძე, ქეთევან ჩოქური და შოთა კაკაბაძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

შენიშვნა: *საფაკულტეტო არჩევითი საგნის და საფაკულტეტო არჩევით საგანზე ლექტორის დამატების გამო, ფაკულტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელდება საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსების ჩამონათვალის ცვლილება.*

<u>სამაგისტრო პროგრამები:</u>

1. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“*** *(დადგენილება № 267, 2020 დანართი 43):*

ცვლილება: შეფასების სისტემის კორექტირება;

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურის სილაბუსის **„მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია“** შეფასების სისტემის კორექტირება. ლექტორი ია იაშვილი.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

2. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“*** *(დადგენილება № 174, 2019, დანართი 296):*

ცვლილება: ლექტორის ცვლილება და დამატება:
ცვლილების აღწერა: სავალდებული სასწავლო კურსს **„საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“** - ეკა ლეკაშვილის ნაცვლად წაიკითხავს დოქტორი ია ერაძე, მოწვეული ლექტორი. არჩევით სასწავლო კურსს **„ეკონომიკური განვითარება შედარებით პერსპექტივაში“** დაემატა მოწვეული ლექტორი დოქტორი ნანა ადეიშვილი.

ცვლლილება: საგანმანათლებლო პროგრამის საგნების სემესტრის ცვლილება:
ცვლილების აღწერა: „სახელმწიფო და ეკონომიკა: სოციოლოგიური პერსპექტივა“ - მეორე სემესტრის ნაცვლად წაიკითხება პირველ სემესტრში; **„საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“** - პირველი სემესტრის ნაცვლად წაიკითხება მეორე სემესტრში .

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

3. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია“*** *(დადგენილება № 45163, 2021, დანართი 41):*

ცვლილება: სემესტრის ცვლილება:
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი **„თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტები“** (ლექტორი ასოც. პროფ. ზურაბ აბაშიძე) საგაზაფხულო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება საშემოდგომო სემესტრში.
ცვლილება: სილაბუსში ცვლილება:
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის სილაბუსში **„ტურიზმის მარკეტინგი“** - შეფასების სისტემის კორექტირება.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

4. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“*** *(დადგენილება № 261, 2012, დანართი 64):*

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების დამატება:
ცვლილების აღწერა: „თავდაცვის პოლიტიკა“ - არჩევითი (15/15) - მოწვეული ლექტორი ეკატერინე გახოკიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი. **„სპორტის მენეჯმენტი და სახელმწიფო პოლიტიკა“** - არჩევითი (15/15) - ლექტორი **ნიკოლოზ ტაბატაძე**

ცვლილება: ლექტორის დამატება:
ცვლილების აღწერა: სალექციო კურსს **„საჯარო პოლიტიკის ანალიზი“** - დაემატა მოწვეული ლექტორი თამთა ჭრიკიშვილი.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

5. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიის კვლევები“*** *(დადგენილება № 22316, 2021, დანართი 45):*

ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება:
ცვლილების აღწერა: ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი **„მონაცემთა ვიზუალიზება და ინფოგრაფიკის შექმნა“** (5 კრედიტი, 15/15, შემოდგომის სემესტრი) -მოწვეული ლექტორი ასოცირებული პროფესორი ოლენა შევჩენკო (საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი, საერთაშორისო მედია კომუნიკაციებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი).
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

6. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“*** *(დადგენილება № 45162, 2021, დანართი 65):*

ცვლილება: პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:
ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამას პროფესორ თორნიკე თურმანიძის ნაცვლად გაუძღვება ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი
ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება:
ცვლილების აღწერა: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ევროკავშირთან“ არჩევითი (15/15), მოწვეული ლექტორი ალექსანდრე დევიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

7. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“*** *(დადგენილება № 124369, 2022, დანართი 305):*

ცვლილება: პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:
ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამას ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილის ნაცვლად გაუძღვება ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

8. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“*** *(დადგენილება № 45163, 2021, დანართი 41):*

ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება:
ცვლილების აღწერა: „Solidarity Journalism in a Global era”, არჩევითი (15/15), ლექტორები პროფესორი მარიამ გერსამია და ასოცირებული პროფესორი ოლენა შევჩენკო (საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი, საერთაშორისო მედია კომუნიკაციებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი).
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

9. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „გენდერის კვლევა“*** *(დადგენილება № 32541, 2021, დანართი 43):*

ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება:
ცვლილების აღწერა: **“პოსტკოლონიური და დეკოლონიური თეორიები”**, არჩევითი (15/15), სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან, ლექტორი მაია ბარქაია.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის
ასოცირებული პროფესორის ფიქრია ასანიშვილის

განცხადება

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 6 ივლისს შედგა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების შეხვედრა,სადაც რიგ საკითხებთან ერთად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთა ცვლილებასთან დაკავშირებით. ახალი აკადემიური წლიდან სამაგისტრო პროგრამას „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ უხელმძღვანელებს ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე, ხოლო სამაგისტრო პროგრამას „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ ვუხელმძღვანელებ მე.

გთხოვთ, აღნიშნული ცვლილებები გაიტანოთ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

ფიქრია ასანიშვილი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი

11.07. 2022

საკონტაქტო ტელეფონი 599643223

დანართი № 4
განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:

(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

შენიშვნა: თუ სადოქტორო კვლევის თემატიკა ემთხვევა აპლიკანტის სამაგისტრო ნაშრომს, მკაფიოდ წარმოაჩინეთ საკვლევი თემის ორიგინალურობა და სიახლე.

სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენა.

ხელმოწერა:

თარიღი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს და
საბჭოს თავმჯდომარეს, ასოცირებულ პროფესორ თამარ დოლბაიას,
ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის

ანგარიში

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის 21 ივნისამდე ვიმყოფებოდი სამეცნიერო-აკადემიურ შვებულებაში, რომლის ფარგლებშიც სამი სამეცნიერო ნაშრომი შევქმენი: 1. სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების განახლებული სახელმძღვანელო, რომელმაც რეცენზირების პროცესი ორჯერ გაიარა და მზადაა დასაკაბადონებლად; 2. კულტურის სოციოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელო; 3. სამეცნიერო სტატია სათაურით "Euro-optimism Intertwined with Pragmatism: Elite and Popular Discourses on Georgia's Europeanization through Q Methodology", რომელიც იბეჭდება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის Caucasus Survey (0.7 იმპაქტის მქონე) სპეციალურ ნომერში Georgia's Strategic Path. სტატია ინოვაციურ მეთოდოლოგიას ეფუძნება, რომლის საფუძველზე დღემდე საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა და მომდევნო თვეში მისი რეცენზირების პროცესი დასრულდება, თუმცა სპეციალური ნომრის რედაქტორების მიერ უკვე მიიღო მაღალი შეფასება და მათ დაადასტურეს, რომ სტატია გამოქვეყნების პროცესშია.

წარმოგიდგენთ თითოეული სამეცნიერო პროდუქტის მოკლე მიმოხილვას:

სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების განახლებული სახელმძღვანელო 8 თავისგან შედგება, რომლებიც დარგის უახლეს ლიტერატურასა და ავტორის ემპირიულ გამოცდილებას ეფუძნება. თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილია ნიმუშები ავტორის და მისი გუნდის მიერ ჩატარებული კვლევებიდან, რაც მკითხველს თეორიული საკითხების უკეთ გაგებაში ეხმარება. სახელმძღვანელო რაოდენობრივი კვლევის თეორიული საფუძვლების მიმოხილვით იწყება, შემდეგ კვლევის დიზაინის საფეხურებს და

კონკრეტულ მაგალითებს განიხილავს, რასაც რაოდენობრივ კვლევაში ალბათური და არაალბათური შერჩევის ტიპების განხილვა მოსდევს შესაბამისი ნიმუშებით. სახელმძღვანელო რაოდენობრივი კვლევის სამ ძირითად მეთოდზე ამახვილებს ყურადღებას: მასობრივი გამოკითხვა, რაოდენობრივი კონტენტანალიზი და Q მეთოდოლოგია. სახელმძღვანელოს ძირითად სიახლეს ის წარმოადგენს, რომ, განსხვავებით მისი წინა ვერსიისგან, რომელიც მხოლოდ მასობრივი გამოკითხვის მეთოდზე ამახვილებს ყურადღებას, ახალ ვერსიაში კიდევ ორი მეთოდია დამატებული. ამასთან, Q მეთოდოლოგია ინოვაციური მეთოდია, რომელიც რაოდენობრივი კვლევის კლასიკურ სახელმძღვანელოებში უბრალოდ არ გვხვდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, რაოდენობრივ მეთოდებთან დაკავშირებული ნაშრომები ან მასობრივი გამოკითხვის მეთოდზე ფოკუსირდება, ან რაოდენობრივ კონტენტანალიზზე. წარმოდგენილი სახელმძღვანელო კი მკითხველს საშუალებას აძლევს, რაოდენობრივი კვლევის სამ მეთოდს ერთად გაეცნოს. სახელმძღვანელო კვლევის ანგარიშის სტრუქტურის განხილვით სრულდება და მკითხველს წყაროების მითითების ჩიკაგოს სტილსაც აცნობს, რაც დღეს სოციალურ მეცნიერებებში დომინანტურ სტილად მიიჩნევა.

კულტურის სოციოლოგიის სახელმძღვანელო 9 თავისგან შედგება და, როგორც წინა სახელმძღვანელოს შემთხვევაში, ავტორის თეორიულ ცოდნასა და ემპირიულ გამოცდილებას ეფუძნება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კულტურის სოციოლოგიის არცერთი არსებული სახელმძღვანელო არ არის აგებული მსგავსი ფორმით. მაგალითად, არსებული თეორიული მიდგომების კლასიფიცირება „კულტურულ ბრუნამდე“ და „კულტურული ბრუნის შემდგომ“ ეპოქებად (მე-2 და მე-3 თავები) ავტორის ორიგინალური ხედვის შედეგია, ისევე როგორც თავად ავტორების სელექცია თითოეული მიდგომის ფარგლებში; მე-4 თავში „კულტურა და იდენტობა“ ავტორი მსოფლიო ღირებულებების კვლევის უახლეს ტალღას აანალიზებს; მე-5 თავი „კულტურა, სოციალიზაცია და ოჯახი“ ავტორის სადისერტაციო კვლევას ეფუძნება; მე-6 თავი „კულტურა და სუბკულტურა“ სუბკულტურის კვლევების ისტორიულ გამოცდილებასა და თანამედროვე პრაქტიკებს აჯამებს და კულტურის სოციოლოგიის სხვა სახელმძღვანელოებში

არსად გვხვდება; იგივე უნდა ითქვას მომდევნო, მე-7 თავზეც, რომელიც „ეთნიკური იდენტობის, ეროვნული იდენტობის და ნაციონალიზმის“ საკითხებს ეხება. გარდა იმისა, რომ ამ თემაზე შექმნილი ტექსტების დიდ ნაწილში საერთოდ არ არის განსხვავებული ეთნიკური და ეროვნული იდენტობის ცნებები, არც ნაციონალიზმის და პატრიოტიზმის მიმართების საკითხებს ეთმობა ყურადღება და არც ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის სტრატეგიებია განხილული. მე-8 თავი „კულტურის და გლობალიზაციის“ თემატიკას ეხება და აქ განსაკუთრებით საგულისხმოა ქსელური საზოგადოების და მსოფლიო რისკის საზოგადოების უახლესი კონცეფციების განხილვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გლოკალიზაციის შესახებ ქვეთავი მთლიანად სახელმძღვანელოს ავტორის მიერ წარმოდგენილ ნიმუშებს ეფუძნება. მე-9 თავი „მულტიკულტურალიზმის“ საკითხებს განიხილავს და განსხვავებით ამ თემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან, რომლებიც ნაკლებ აკადემიურია, ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებზე ამახვილებს ყურადღებას და მკითხველებს სხვადასხვა რეცეპტს სთავაზობს, თუ როგორ ადაპტირდნენ კულტურულად განსხვავებულ გარემოში, მოცემულ ქვეთავში ავტორი აკადემიურ მიდგომას იყენებს და მკითხველს მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებულ საკვანძო ცნებებს სთავაზობს, როგორიცაა ჰიბრიდიზაცია, კრეოლიზაცია და ა.შ., რომლებიც კულტურის სოციოლოგიის სხვა სახელმძღვანელოებში არ გვხვდება. აღნიშნული ქვეთავი ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების ჩამონათვალით სრულდება.

სამეცნიერო სტატია სათაურით “Euro-optimism Intertwined with Pragmatism: Elite and Popular Discourses on Georgia’s Europeanization through Q Methodology”, რომელიც იბეჭდება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის Caucasus Survey (0.7 იმპაქტის მქონე) სპეციალურ ნომერში Georgia’s Strategic Path. როგორც აღინიშნა, სტატია ინოვაციურ მეთოდს, კერძოდ, Q მეთოდოლოგიას ეფუძნება, რომლის საფუძველზე დღემდე საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა. ამასთან, ავტორმა ამ მეთოდის ორიგინალური ადაპტაცია მოახდინა ევროპეიზაციის დისკურსების საკვლევად საქართველოში. სტატია განიხილავს პოლიტიკური და

ინტელექტუალური ელიტებისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დისკურსებს ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ და ყურადღებას ამახვილებს ევროპეიზაციასთან დაკავშირებულ პრაგმატულ და იდენტობის ფაქტორებზე. მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ელიტები და მოსახლეობა ევროოპტიმისტური ხედვებით გამოირჩევიან, რაც, უმეტესად, ქვეყნის ევროპეიზაციასთან დაკავშირებული პრაგმატული სარგებლით არის გამოწვეული. ეს უკანასკნელი კი, უპირატესად, ევროპეიზაციის შედეგად ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებასა და ქვეყნის რუსეთის საფრთხეებისგან დაცვას უკავშირდება. ამასთან, მოცემული კვლევა აჩვენებს, რომ, განსხვავებით წინა პერიოდებისგან, ევროინტეგრაცია, თუნდაც რიტორიკულ დონეზე, ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ აღარ აღიქმება. დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ კვლევებისგან განსხვავებით, რომელთა თანახმად, ევროინტეგრაციისადმი ქართველების დამოკიდებულებას იდენტობის ფაქტორები განსაზღვრავს (Gvalia et al. 2013; German 2015; Kakachia and Minesashvili 2015), წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, რომ სწორედ დემოკრატიზაციასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრაგმატული ხედვები განაპირობებს ქართულ რეალობაში ელიტებისა და მოსახლეობის მიერ ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის პროცესის ხედვას.

პატივისცემით, ლია წულაძე

11.07.2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ასოც. პროფესორ თამარ დოლბაიას,
ამავე ფაკულტეტის ასოც. პროფესორის, ლია წულაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამრთოთ უფლება, 2021-2022 აკადემიურ წელს 10-თვიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით ვისარგებლო. აღნიშნულ პერიოდში ჩემს მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქტი მიმართული იქნება როგორც ფაკულტეტის კურიკულუმის განვითარებაზე, ისე თსუ-ის რეიტინგის გაზრდაში წვლილის შეტანაზე.

სოციოლოგიის მიმართულების კურიკულუმის განვითარების მიზნით, პირველ რიგში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოს განვაახლებ, რომელიც 2008 წელს არის გამოცემული. განახლებული სახელმძღვანელო, რეალურად, ახალი სახელმძღვანელოა, რადგან ის მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული წინა ვერსიისგან. გარდა მასობრივი გამოკითხვის მეთოდისა (რომელიც 2008 წლის ვერსიის ფოკუსია და რომელსაც არა მხოლოდ ახალი საკითხები დაემატება, როგორიცაა ინტერნეტგამოკითხვა, არამედ ავტორის კვლევის ნიმუშებიც), მასში ინტეგრირებული იქნება რაოდენობრივი კონტენტანალიზი და Q მეთოდოლოგია. ეს უკანასკნელი არასდროს გამოყენებულა სოციალური მკვლევრების მიერ საქართველოში, გარდა ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელებული, რუსთაველის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტისა „ვიზალიბერალიზაციის შემდგომი დისკურსები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ“ (2018-2020). შესაბამისად, სტუდენტებს და სოციალურ მკვლევრებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ საინტერესო მეთოდის არსსა და მისი გამოყენების სპეციფიკას გაეცნონ. „სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების“ (2020) სახელმძღვანელოს მსგავსად, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სახელწოდება იქნება „სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“ (სახელმძღვანელოს შექმნის და რედაქტირების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3-4 თვე).

გარდა ზემოხსენებული სახელმძღვანელოსი, კულტურის სოციოლოგიის საბაკალავრო კურსისთვის შევქმნი ინტერდისციპლინური ხასიათის ორიგინალურ სახელმძღვანელოს. სახელმძღვანელოს სავარაუდო შინაარსი შემდეგი სახისაა: კულტურის ცნება და მისი კატეგორიზაციის მცდელობა სოციალურ მეცნიერებებში; კულტურის კვლევების განვითარების

ანთროპოლოგიური ტრადიცია (1950-60-იანი წლები); კულტურის კვლევების განვითარების სოციოლოგიური ტრადიცია (1970-80-იანი წლები); კულტურულ ღირებულებათა კვლევის ახალი ტალღა (1980-90-იანი წლები) და თანამედროვე მდგომარეობა; კულტურა და სოციალიზაცია: სოციალიზაციის უნივერსალური მოდელები და კულტურულ-სპეციფიკური თავისებურებები; კულტურა და სოციალური ინსტიტუტები: ოჯახი და რელიგია ცვალებად საზოგადოებაში; კულტურა და რიტუალი: რიტუალიზმი, როგორც სოციოკულტურული სისტემის მახასიათებელი; კულტურა და პერფორმანსი: თვითპრეზენტაცია და შთაბეჭდილებების მართვა ყოველდღიურ ცხოვრებაში; კულტურა და სუბკულტურა: სუბკულტურის სოციალური ფუნქციები; კულტურათა კონტაქტი და ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის სტრატეგიები; კულტურათაშორისი კონფლიქტი, კულტურული შოკი და აკულტურაცია; მულტიკულტურალიზმი: „გადამდნობი ქვაბიდან" კულტურულ პლურალიზმამდე; კულტურული გლობალიზაცია და მისი თავისებურებები თანამედროვე პირობებში (სახელმძღვანელოს შექმნის და რედაქტირების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4-5 თვე).

ამასთან, სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში, გამოვაქვეყნებ ერთ სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში, რაც თსუ-ის რეიტინგზე დადებითად აისახება. ვფიქრობ, სტატიის ფოკუსი იქნება ზემოხსენებული ინოვაციური მეთოდის - Q მეთოდოლოგიის - გამოყენება ევროპეიზაციის კვლევაში, რაც ქართულ რეალობაში პირველ შემთხვევას წარმოადგენს და ჩემი უახლესი კვლევის მონაცემები სწორედ მას ეფუძნება (სტატიის შექმნის და იმპაქტფაქტორის ჟურნალის ფორმატზე მორგების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3-3.5 თვე).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში, სოციოლოგიის მიმართულება უზრუნველყოფს ჩემი სავალდებულო საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების უწყვეტ მიმდინარეობას.

პატივისცემით,

26. 07. 2021